

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სასწავლო და სამეცნიერო ლიტერატურის სარედაქციო-საგამომცემლო საბჭოს

დ ე ბ უ ლ ე ბ ა

1. სარედაქციო-საგამომცემლო საბჭოს დანიშნულება და ორგანიზაცია

1.1. საბჭოს დანიშნულება

სტუ-ის აკადემიური და სამეცნიერო პერსონალის ან/და სხვა პირების მიერ მომზადებული სასწავლო-სამეცნიერო ორიგინალური და ნათარგმნი ლიტერატურის ხარისხისა და აქტუალობის განსაზღვრის, ნაშრომის გამოცემისათვის საჭირო თანდართული დოკუმენტაციის განხილვისა და მასზე საბოლოო დასკვნის გამოტანის, აგრეთვე სარედაქციო-საგამომცემლო საქმესთან დაკავშირებული სხვა საკითხების შესწავლისა და მოგვარების მიზნით იქმნება სასწავლო და სამეცნიერო ლიტერატურის სარედაქციო-საგამომცემლო საბჭო (შემდგომ საბჭო).

საბჭო საქმიანობას წარმართავს უმაღლესი განათლების შესახებ საქართველოს კანონის, სტუ-ის წესდებისა და საგამომცემლო საქმესთან დაკავშირებული სხვა ნორმატიული აქტებისა და ინსტრუქციების შესაბამისად.

1.2. საბჭოს ორგანიზაცია

1.2.1. საბჭოს შემადგენლობაში შედიან:

- საბჭოს თავმჯდომარე – რექტორი;
- საბჭოს თავმჯდომარის მოადგილეები: ვიცე-რექტორი, რექტორის მოადგილე სამეცნიერო დარგში;

საბჭოს წევრები: საბჭოს სწავლული მდივანი, სტუ-ის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი, სასწავლო პროცესის მონიტორინგის დეპარტამენტის უფროსი, სწავლების დეპარტამენტის უფროსი, მეცნიერების დეპარტამენტის უფროსი, სასწავლო პროცესის მეთოდური უზრუნველყოფის დეპარტამენტის უფროსი, სტუ-ის ცენტრალური სამეცნიერო-ტექნიკური ბიბლიოთეკის დირექტორი, საგამომცემლო სახლ „ტექნიკური უნივერსიტეტის“ დირექტორი, ფაკულტეტების სასწავლო-სამეცნიერო ლიტერატურის დარგობრივი კომისიების თავმჯდომარეები, ადმინისტრაციული და აკადემიური პერსონალის სხვა წარმომადგენლები.

საბჭოს შემადგენლობა მტკიცდება აკადემიური საბჭოს დადგენილებით.

1.2.2. საბჭოს წინაშე არსებული საორგანიზაციო საკითხების ოპერატიულად გადაჭრის მიზნით საბჭოს წევრებისაგან, საჭიროებისას, იქმნება საორგანიზაციო საკითხთა კომისია.

კომისიის შემადგენლობას ამტკიცებს საბჭო, ხოლო კომისიის თავმჯდომარეს და მდივანს ირჩევს თვით კომისია;

1.2.3. საბჭოს წინაშე მდგომი სასწავლო-სამეცნიერო და მეთოდოლოგიური ხასიათის ამოცანების გადაჭრის მიზნით სტუ-ის ყველა ფაკულტეტზე იქმნება სასწავლო-სამეცნიერო ლიტერატურის დარგობრივი კომისია/კომისიები (შემდგომ კომისია), რომლის შემადგენლობაშიც შედიან: შესაბამისი ფაკულტეტის აკადემიური პერსონალი, მოწვეული პროფესორები/სპეციალისტები, ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წარმომადგენელი.

კომისიის შემადგენლობას ამტკიცებს ფაკულტეტის საბჭო, ხოლო მის თავმჯდომარეს და მდივანს ირჩევს თვით კომისია. კომისიის თავმჯდომარე შედის საბჭოში.

ამონაწერი ფაკულტეტის საბჭოს სხდომის ოქმიდან კომისიის/კომისიების შემადგენლობის დამტკიცების, აგრეთვე ოქმი/ოქმები კომისიის/კომისიების თავმჯდომარისა და მდივნის არჩევის შესახებ ეგზავნება სარედაქციო-საგამომცემლო საბჭოს.

კომისია საქმიანობას წარმართავს საბჭოს დებულებისა და კომისიის დებულების შესაბამისად (იხ. დანართი).

2. საბჭოს ფუნქციები, უფლებამოსილება და ანგარიშვალდებულება

2.1. ფუნქციები:

- 2.1.1.** სტუ-ში საგამომცემლო საქმესთან დაკავშირებული საკითხების შესწავლა, განხილვა და გადაწყვეტილების მიღება (მათ შორის დაფინანსების), ნაშრომისთვის გრიფის მინიჭება და გამოქვეყნების შესახებ საბოლოო დასკვნის გამოტანა (იხ. შენიშვნა);
- 2.1.2.** საბჭოს სხდომაზე მიღებული დადგენილებების შესრულების კონტროლი;
- 2.1.3.** ფაკულტეტის სასწავლო-სამეცნიერო ლიტერატურის დარგობრივი კომისიის რეკომენდაციის საფუძველზე სასწავლო-სამეცნიერო პროცესისათვის საჭირო ლიტერატურის (მათ შორის ნათარგმნი) გამოცემის საკითხის შესწავლა, განხილვა და გადაწყვეტილების მიღება.

შენიშვნა:

- 1.** ავტორმა/ავტორებმა საბჭოში (საბჭოს სწავლულ მდივანთან) უნდა წარადგინონ:
 - ნაშრომის სრული ბეჭდური და ელექტრონული ვერსიები;
 - ფაკულტეტის სასწავლო-სამეცნიერო ლიტერატურის დარგობრივი კომისიის აქტი (2 ეგზემპლარად. იხ. დანართის ნიმუში);
 - არანაკლებ ორი რეცენზიისა (2-2 ეგზემპლარად).

(ფაკულტეტის ბიუჯეტიდან ნაშრომის დაფინანსების შემთხვევაში ამონაწერი ფაკულტეტის საბჭოს/სათათბიროს სხდომის ოქმიდან).

საბჭოს სწავლული მდივანი არეგისტრირებს დოკუმენტაციას და ამზადებს მას საბჭოსათვის;

2. საბჭო იკრიბება კვარტალში ერთხელ (საჭიროებისამებრ);

3. საბჭოს მიერ ნაშრომის გამოქვეყნების შესახებ მიღებული დადებითი გადაწყვეტილება ფორმდება შემდეგნაირად:

- დამტკიცა სტუ-ის სარედაქციო-საგამომცემლო საბჭომ (ეხება სასწავლო გამოცემებს – სახელმძღვანელო, დამხმარე სახელმძღვანელო; სამეცნიერო და საცნობარო ლიტერატურას – მონოგრაფია, ლექსიკონები, სასწავლო ცნობარი);
- რეკომენდებულია სტუ-ის სარედაქციო-საგამომცემლო საბჭოს მიერ (ეხება სასწავლო გამოცემებს – ლექციების კურსი, ლექციების კონსპექტი; სასწავლო-მეთოდოლოგიური ლიტერატურას – პრაქტიკუმი, ქრესტომათია, ამოცანათა (სავარჯიშოები) კრებული, უცხო ტექსტების კრებული, მეთოდოლოგიური რეკომენდაციები);

4. საბჭოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება დამტკიცებული ნაშრომის დაფინანსების შესახებ ფორმდება შემდეგნაირად:

- დაიბეჭდოს ავტორის დაფინანსებით;
- დაიბეჭდოს ფაკულტეტის დაფინანსებით;
- დაიბეჭდოს უნივერსიტეტის დაფინანსებით;
- დაიბეჭდოს ფაკულტეტის და უნივერსიტეტის წილობრივი მონაწილეობით;
- მიეცეს რეკომენდაცია, დაიბეჭდოს ავტორისა და ფაკულტეტის/უნივერსიტეტის ან/და სხვა თანადაფინანსებით.

საბოლოო გადაწყვეტილებას უნივერსიტეტის ბიუჯეტიდან ნაშრომის გამოცემის დაფინანსების შესახებ იღებს საბჭო;

(საბჭოზე ნაშრომის წარდგენის შესახებ იხ. დანართი – ფაკულტეტის სასწავლო-სამეცნიერო ლიტერატურის დარგობრივი კომისიის დებულების პუნქტი 3. ქვეპუნქტი 3.12);

5. საბჭოზე ნაშრომის უარყოფითად შეფასების მიზეზები შეიძლება იყოს (საორიენტაციოდ):

- პლაგიატის ნიშნების გამოვლენა;
- ნაშრომში ილუსტრაციების დაბალი ხარისხი;
- საგამომცემლო სახლ „ტექნიკური უნივერსიტეტის“ მოთხოვნების გაუთვალისწინებლობა (დედნის მომზადების წესი იხ. საგამომცემლო სახლ „ტექნიკური უნივერსიტეტის“ ვებგვერდზე) და სხვა.

საბჭოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება (დადებითი ან უარყოფითი) აისახება საბჭოს სხდომის ოქმში;

6. საბჭოს მიერ დადებითი გადაწყვეტილების მიღების შემდეგ ნაშრომი, თანდართულ დოკუმენტაციასთან ერთად, გადაეცემა საგამომცემლო სახლ „ტექნიკურ უნივერსიტეტს“;

7. მომზადებული ნაშრომის ბეჭდური და ელექტრონული გამოცემები ეკვივალენტური სტატუსისაა (გრიფის მინიჭების პროცედურის დაცვით);

8. გრიფის მინიჭების შემდეგ:

- ნაშრომის (როგორც ბეჭდურის, ისე ელექტრონული გამოცემის) ელექტრონული ვერსიის 2 ეგზემპლარი სავალდებულოა გადაეცეს სტუ-ის ცენტრალურსამეცნიერო-ტექნიკურ ბიბლიოთეკას;
- ნაშრომის (როგორც ბეჭდურის, ისე ელექტრონული გამოცემის) ანოტაცია 3 ენაზე (იხ. ანოტაციის მომზადების წესი საგამომცემლო სახლ „ტექნიკური უნივერსიტეტის“ ვებგვერდზე) უნდა განთავსდეს საგამომცემლო სახლ „ტექნიკური უნივერსიტეტის“ ვებგვერდზე და სტუ-ის ცენტრალური სამეცნიერო-ტექნიკური ბიბლიოთეკის საიტზე;
- ნაშრომის ბეჭდური ვერსია (სტუ-ის ბიუჯეტიდან დაფინანსების შემთხვევაში) ვრცელდება დადგენილი წესის მიხედვით (1 ეგზემპლარი რჩება საგამომცემლო ბაზაში, 3 – იგზავნება ISBN-ის ეროვნულ ცენტრში, 5 – გადაეცემა ავტორს, 10 – ტექნიკური უნივერსიტეტის ცენტრალურ სამეცნიერო-ტექნიკურ ბიბლიოთეკას, ხოლო ტირაჟის დარჩენილი ნაწილი გაიყიდება არსებული წესით);
- ნაშრომის ელექტრონულად გამოცემის შემთხვევაში ავტორი ვალდებულია: 2 ეგზემპლარი PDF ფორმატით გადასცეს ISBN-ის ეროვნულ ცენტრს, 1 – საგამომცემლო სახლ „ტექნიკური უნივერსიტეტის“, 2 – სტუ-ის ცენტრალურ სამეცნიერო-ტექნიკურ ბიბლიოთეკას.
ი) სტუ-ის ბიუჯეტიდან დაფინანსების შემთხვევაში, საგამომცემლო სახლ „ტექნიკური უნივერსიტეტის“ მიერ გამოცემული ნაშრომების რეალიზაცია უნდა მოხდეს ტექნიკურ უნივერსიტეტში, სპეციალურად გამოყოფილ ადგილებში.

2.2. უფლებამოსილება და ანგარიშვალდებულება

2.2.1. საბჭოს უფლებამოსილება განისაზღვრება 4 აკადემიური წლით;

2.2.2. საბჭო უფლებამოსილია სადავო საკითხების სამართლებრივ და მადალპროფესიულ დონეზე მოგვარების მიზნით თავის საქმიანობაში საჭიროებისამებრ ჩართოს კონკრეტული დარგის სპეციალისტები (კონსულტანტები), სათანადო დასკვნის გამოსატანად;

2.2.3. საბჭო უფლებამოსილია სარედაქციო-საგამომცემლო საქმიანობის სრულყოფისათვის სტუ-ის აკადემიური და წარმომადგენლობითი საბჭოების წინაშე შევიდეს შესაბამისი ინიციატივით;

2.2.4. საბჭოს სხდომა უფლებამოსილია თუ მას ესწრება საბჭოს სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტი. გადაწყვეტილება მიიღება დამსწრე წევრთა ხმების უმრავლესობით;

2.2.5. საბჭოს გადაწყვეტილება ფორმდება ოქმით, რომელსაც ხელს აწერს საბჭოს თავმჯდომარე ან მოადგილე და სწავლული მდივანი;

2.2.6. საბჭო ანგარიშვალდებულია სტუ-ის აკადემიური და წარმომადგენლობითი საბჭოების წინაშე.

3. დებულების დამტკიცების წესი

საბჭო შეიმუშავებს დებულების პროექტს, რომელსაც განიხილავს სტუ-ის აკადემიური საბჭო და დასამტკიცებლად წარუდგენს სტუ-ის წარმომადგენლობით საბჭოს. დებულება ძალაში შედის სტუ-ის წარმომადგენლობითი საბჭოს მიერ დამტკიცების დღიდან.

დანართი

ფაკულტეტის სასწავლო-სამეცნიერო ლიტერატურის დარგობრივი კომისიის დ ე ბ უ ლ ე ბ ა

1. ფაკულტეტის სასწავლო-სამეცნიერო ლიტერატურის დარგობრივი კომისიის დანიშნულება და ორგანიზაცია

1.1. კომისიის დანიშნულება

ფაკულტეტის აკადემიური და სამეცნიერო პერსონალის ან/დადარგის სხვა წარმომადგენლების მიერ მომზადებული სასწავლო-სამეცნიერო ლიტერატურის ხარისხისა და აქტუალობის განსაზღვრისა და ამ ნაშრომის გამოცემისათვის საჭირო თანდართული დოკუმენტაციის მომზადების მიზნით, სტუ-ის ყველა ფაკულტეტზე ყალიბდება სასწავლო-სამეცნიერო ლიტერატურის დარგობრივი კომისია/კომისიები (შემდგომ კომისია).

კომისია საქმიანობას წარმართავს სტუ-ის სასწავლო და სამეცნიერო ლიტერატურის სარედაქციო-საგამომცემლო საბჭოს დებულებისა და მოცემული დებულების შესაბამისად.

1.2. კომისიის ორგანიზაცია

1.2.1. კომისიის შემადგენლობაში შედიან: შესაბამისი ფაკულტეტის აკადემიური პერსონალი, მოწვეული პროფესორები/სპეციალისტები, ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წარმომადგენელი;

1.2.2. კომისიის შემადგენლობას ამტკიცებს ფაკულტეტის საბჭო, ხოლო მის თავმჯდომარეს და მდივანს ირჩევს თვით კომისია. კომისიის თავმჯდომარე შედის სტუ-ის სასწავლო და სამეცნიერო ლიტერატურის სარედაქციო-საგამომცემლო საბჭოში.

ამონაწერი ფაკულტეტის საბჭოს სხდომის ოქმიდან კომისიის/კომისიების შემადგენლობის დამტკიცების, აგრეთვე ოქმი/ოქმები კომისიის/კომისიების თავმჯდომარისა და მდივნის არჩევის შესახებ ეგზავნება სტუ-ის სასწავლო და სამეცნიერო ლიტერატურის სარედაქციო-საგამომცემლო საბჭოს.

2. კომისიის ფუნქციები და უფლებამოსილება

2.1. ფუნქციები

2.1.1. კომისია არეგისტრირებს და განიხილავს სასწავლო და სამეცნიერო ლიტერატურას; განსაზღვრავს ნაშრომის აქტუალურობას; ახორციელებს სათანადო შინაარსობრივი, სასწავლო-მეთოდური და მეცნიერული დონის ექსპერტიზას – წარმოდგენილი ნაშრომის შესაფასებლად გამოყოფს რეცენზენტებს; ნაშრომის სასწავლო გეგმასა და სილაბუსთან შესაბამისობის დასადგენად (ეხება სასწავლო-მეთოდურ ლიტერატურას) მიმართავს ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს; ფაკულტეტის ბიუჯეტიდან ნაშრომის დაფინანსების საკითხზე მიმართავს ფაკულტეტის საბჭოს/სათათბიროს; ამოწმებს სარედაქციო-საგამომცემლო საბჭოზე წარსადგენი ნაშრომების სტუ-ის საბიბლიოთეკო ფონდთან იდენტურობას; იღებს გადაწყვეტილებას სარედაქციო-საგამომცემლო საბჭოს წინაშე მათთვის რეკომენდაციის გაწევის შესახებ და ამზადებს საჭირო თანდართულ დოკუმენტაციას;

2.1.2. კომისიის დასკვნა ფორმდება სპეციალური აქტით, რომელიც მოწმდება ფაკულტეტის დეკანის ხელმოწერით და ფაკულტეტის ბეჭდით;

2.1.3. კომისია, ფაკულტეტის დეპარტამენტის/დეპარტამენტების მიერ ახალი სასწავლო-საგანმანათლებლო პროგრამის/პროგრამების (მათ შორის უცხოენოვანი) შექმნის ან უკვე არსებულის განახლების ან/და მოდიფიცირების აუცილებლობის შემთხვევაში, მათი შესაბამისი სასწავლო-მეთოდური ლიტერატურით (მათ შორის ნათარგმნი) უზრუნველყოფის მიზნით, ფაკულტეტის საბჭოსთან შეთანხმებით ადგენს საჭირო წიგნების ნუსხას და აწესრიგებს მათი გამოცემის საორგანიზაციო საკითხებს.

საბოლოო გადაწყვეტილებას სასწავლო-საგანმანათლებლო პროცესისათვის საჭირო ლიტერატურის (მათ შორის ნათარგმნი) გამოცემაზე იღებს სტუ-ის სასწავლო და სამეცნიერო ლიტერატურის სარედაქციო-საგამომცემლო საბჭო კომისიის რეკომენდაციის საფუძველზე.

უფლებამოსილება

2.1.4. კომისიის უფლებამოსილების ვადა ემთხვევა სტუ-ის სასწავლო და სამეცნიერო ლიტერატურის სარედაქციო-საგამომცემლო საბჭოს უფლებამოსილების ვადას;

2.1.5. კომისიის სხდომა უფლებამოსილად ითვლება იმ შემთხვევაში, თუ მას ესწრება კომისიის წევრთა ნახევარზე მეტი. გადაწყვეტილება მიიღება დამსწრე წევრთა ხმების უმრავლესობით;

2.1.6. კომისიის ყველა გადაწყვეტილება სარეკომენდაციო ხასიათისაა, არის სტუ-ის სასწავლო და სამეცნიერო ლიტერატურის სარედაქციო-საგამომცემლო საბჭოს მიერ გადაწყვეტილების მიღების საფუძველი და ძალაში შედის მოცემული საკითხის საბჭოს სხდომაზე განხილვისა და დამტკიცების შემდეგ.

3. კომისიის საქმიანობის წესი

3.1. კომისიის მიერ ნაშრომის მიღებისა და განხილვის ვადები განისაზღვრება შემდეგნაირად: კომისიაში ნაშრომის წარდგენა წარმოებს ყოველი თვის პირველიდან თხუთმეტი რიცხვის ჩათვლით, ხოლო განხილვა – თექვსმეტი რიცხვიდან ამავე თვის ბოლომდე;

3.2. კომისია (კომისიის მდივანი) დადგენილ ვადებში იღებს ავტორისგან/ავტორთა ჯგუფისგან ნაშრომს და არეგისტრირებს მას;

3.3. კომისიამ ნაშრომის სასწავლო-სამეცნიერო დონის ექსპერტიზისათვის უნდა გამოყოს არანაკლებ 2 რეცენზენტისა. აქედან ერთი რეცენზენტი უნდა იყოს დეპარტამენტის თანამშრომელი, ხოლო მეორე (ან მეტი) – სხვა დეპარტამენტიდან ან სხვა სასწავლო-სამეცნიერო დაწესებულებიდან/ორგანიზაციიდან.

(რეცენზენტი, როგორც წესი, უნდა იყოს დარგის წამყვანი სპეციალისტი. გამოქვეყნებული უნდა ჰქონდეს შესაბამის თემაზე მინიმუმ ორი სამეცნიერო ნაშრომი ბოლო ხუთი წლის განმავლობაში);

3.4. კომისიის თავმჯდომარე დადგენილი ვადის ფარგლებში ნიშნავს სხდომას, სადაც კომისიის წევრების გარდა მოწვეული უნდა იყვნენ ავტორი/ავტორები, რეცენზენტები და შესაბამისი დარგის წამყვანი სპეციალისტები;

3.5. სხდომაზე მოხსენებას ნაშრომის აქტუალურობის, სიახლისა და გამოცემის მიზანშეწონილობის შესახებ აკეთებს ავტორი/ავტორები (მომხსენებელი) და ერთ-ერთი რეცენზენტი (თანამომხსენებელი). კომისიის სხდომაზე რეცენზენტის გამოუცხადებლობისას ნაშრომი არ განიხილება.

4-ზე მეტი ავტორის შემთხვევაში მათი წილი ნაშრომის შექმნაში უნდა მოხსენდეს კომისიას;

3.6. რეცენზენტის მიერ უარყოფითი შეფასების შემთხვევაში კომისია უფლებამოსილია ნაშრომი დაუბრუნოს ავტორს ხარვეზების გამოსასწორებლად. მისი განხილვა მოხდება ხელმეორე რეცენზირების შემდეგ.

3.7. ავტორმა/ავტორებმა სხვა სასწავლო-სამეცნიერო დაწესებულებიდან ან ორგანიზაციიდან, სტუ-ის გრიფის მიღების სურვილის შემთხვევაში, ნაშრომი უნდა წარადგინონ სტუ-ის შესაბამის ფაკულტეტის კომისიაში.

ნაშრომს თან უნდა ერთვოდეს: 1) სასწავლო-სამეცნიერო დაწესებულების ან ორგანიზაციის შუამდგომლობა ნაშრომის აქტუალურობის და გამოცემის აუცილებლობის შესახებ; 2) მინიმუმ ორი რეცენზია.

კომისია არეგისტრირებს წარმოდგენილ ნაშრომს და საჭიროებისას დამატებით გამოყოფს ერთ რეცენზენტს.

კომისიაში ნაშრომი განიხილება დადგენილი წესის დაცვით;

- 3.8.** სხდომის შედეგების გათვალისწინებით კომისია ადგენს აქტს, რომელშიც უნდა აისახოს: ავტორი/ავტორები, ნაშრომის დასახელება, 4-ზე მეტი ავტორის შემთხვევაში მათი წილი ნაშრომის შექმნაში, კატეგორია (სახელმძღვანელო, დამხმარე სახელმძღვანელო, მონოგრაფია და ა.შ.), ნაშრომის რეგისტრაციის თარიღი და რეგისტრაციის ნომერი, რეცენზენტები და მათ მიერ ნაშრომის არგუმენტირებული შეფასება, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის დასკვნა სასწავლო-მეთოდოლოგიური ხასიათის ლიტერატურის სასწავლო გეგმასა და სილაბუსთან შესაბამისობის შესახებ, დაფინანსების წყარო (დაიბეჭდოს ავტორის დაფინანსებით; ფაკულტეტის დაფინანსებით; უნივერსიტეტის დაფინანსებით და სხვა); რეკომენდაციის გაცემა ნაშრომის გამოქვეყნების შესახებ და შენიშვნა, საჭიროების შემთხვევაში (იხ. ნიმუში);
- 3.9.** საბოლოო გადაწყვეტილებას ნაშრომის სტუ-ის სასწავლო და სამეცნიერო ლიტერატურის სარედაქციო-საგამომცემლო საბჭოზე წარდგენის შესახებ იღებს კომისია;
- 3.10.** კომისიის მიერ ნაშრომის უარყოფითად შეფასების მიზეზები შეიძლება იყოს (საორიენტაციოდ):
- პლაგიატის ნიშნების გამოვლენა;
 - ნაშრომის დაბალი სასწავლო-მეთოდოლოგიური ან მეცნიერული დონე;
 - სასწავლო გეგმასა და სილაბუსთან შეუსაბამობა (ეხება სასწავლო-მეთოდოლოგიურ ლიტერატურას);
 - მეცნიერული სიახლისა და საკვლევო ამოცანის არარსებობა და, შესაბამისად, მიღებული შედეგების მცდარობა (ეხება სამეცნიერო ნაშრომს);
 - გაუმართავი ტერმინოლოგია და ილუსტრაციების დაბალი ხარისხი;
 - საგამომცემლო სახლ „ტექნიკური უნივერსიტეტის“ მოთხოვნების გათვალისწინებლობა (დედნის მომზადების წესი იხ. საგამომცემლო სახლ „ტექნიკური უნივერსიტეტის“ ვებგვერდზე);
- 3.11.** ნაშრომი თანდართული დოკუმენტაციით გადაეცემა სტუ-ის სასწავლო და სამეცნიერო ლიტერატურის სარედაქციო-საგამომცემლო საბჭოს სწავლულ მდივანს (იხ. საბჭოს დებულება პუნქტი 2. ქვეპუნქტი 2.1, შენიშვნა);
- 3.12.** სტუ-ის სასწავლო და სამეცნიერო ლიტერატურის სარედაქციო-საგამომცემლო საბჭოზე ნაშრომს (სახელმძღვანელო, მონოგრაფია) წარადგენს ავტორი/ავტორები. ამავე სხდომაზე, როგორც წესი, სავალდებულოა შესაბამისი ფაკულტეტის კომისიის თავმჯდომარის დასწრება.
- საბჭოზე ავტორის გამოუცხადებლობის შემთხვევაში ნაშრომი არ განიხილება.
- დამხმარე სახელმძღვანელოს საბჭოზე წარადგენს შესაბამისი ფაკულტეტის კომისიის თავმჯდომარე.

4. ანგარიშვალდებულება

კომისია ანგარიშვალდებულია სტუ-ის სასწავლო და სამეცნიერო ლიტერატურის სარედაქციო-საგამომცემლო საბჭოსა და შესაბამისი ფაკულტეტის საბჭოს წინაშე.

ნიმუში

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ფაკულტეტის (მიუთითეთ ფაკულტეტის დასახელება) სასწავლო-სამეცნიერო ლიტერატურის დარგობრივი კომისიის (მიუთითეთ შესაბამისი დარგობრივი კომისია)

აქტი №

(თარიღი)

სხდომას ესწრებოდნენ:

დარგობრივი კომისიის წევრები:(მიუთითეთ კომისიის შემადგენლობა);

განსახილველი ნაშრომის ავტორი/ავტორები: (მიუთითეთ);

რეცენზენტი/რეცენზენტები: (მიუთითეთ);

დარგის მოწვეული სპეციალისტები: (მიუთითეთ).

აქტის სავალდებულო შინაარსი

1. ნაშრომის რეგისტრაცია და რეცენზენტების გამოყოფა

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ფაკულტეტის (მიუთითეთ ფაკულტეტის დასახელება) სასწავლო-სამეცნიერო ლიტერატურის დარგობრივი კომისიაში (მიუთითეთ შესაბამისი დარგობრივი კომისია) განსახილველად შემოვიდა ავტორის/ავტორების (სახელი და გვარი სრულად, აკადემიური ხარისხი, სამუშაო ადგილი, საკონტაქტო ინფორმაცია) მიერ მომზადებული ნაშრომი (მიუთითეთ ნაშრომის სრული დასახელება და კატეგორია).

ნაშრომის რეგისტრაციის თარიღი (მიუთითეთ). რეგისტრაციის № (მიუთითეთ).

სასწავლო-სამეცნიერო ლიტერატურის დარგობრივი კომისიის(მიუთითეთ) მიერ ნაშრომის შინაარსობრივი, სასწავლო-მეთოდოლოგიური და მეცნიერული დონის ექსპერტიზისთვის (მიუთითეთ თარიღი) გამოყოფილია რეცენზენტები (მიუთითეთსახელი და გვარი სრულად, სამუშაო ადგილი და სამეცნიერო წოდება სრულად).

2. ნაშრომის საჯარო განხილვა

1. მოისმინეს: ავტორის/ავტორების (მიუთითეთ) ინფორმაცია განსახილველად წარმოდგენილი ნაშრომის (მიუთითეთ დასახელება) შესახებ. ... (ნაშრომის ანოტაცია)

(4-ზე მეტი ავტორის შემთხვევაში მათი წილი ნაშრომის შექმნაში უნდა აისახოს კომისიის აქტში);

2. მოისმინეს: რეცენზენტის/რეცენზენტების (მიუთითეთ) არგუმენტირებული შეფასება ნაშრომის აქტუალურობის, სიახლის და გამოცემის მიზანშეწონილობის შესახებ).

3. მოისმინეს: ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის დასკვნა სასწავლო-მეთოდოლოგიურ ნაშრომზე (მიუთითეთ მომხსენებლის ვინაობა, ნაშრომის კატეგორია, სასწავლო გეგმასა და სილაბუსთან მისი შესაბამისობა) და რეკომენდაცია მის გამოცემაზე.

აზრი გამოთქვას: ...

დაადგინეს:

- 1) საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ... ფაკულტეტის (მიუთითეთ ფაკულტეტის დასახელება) სასწავლო-სამეცნიერო ლიტერატურის დარგობრივი კომისია (მიუთითეთ შესაბამისი დარგობრივი კომისია) რეკომენდაციას უწევს, ავტორის/ავტორების (მიუთითეთ) ნაშრომი (მიუთითეთ) წარდგენილ იქნეს სტუ-ის სასწავლო და სამეცნიერო ლიტერატურის სარედაქციო-საგამომცემლო საბჭოზე დასამტკიცებლად და გამოცემულ იქნეს სტამბური წესით;
- 2) ნაშრომის გამოცემა დაფინანსდეს ... (მიუთითეთ დაფინანსების წყარო. სტუ-ის ბიუჯეტიდან დაფინანსების შემთხვევაში მიუთითეთ გამოყოფილი თანხა ან გამოსაცემი ნაშრომის ტირაჟი);
- 3) შენიშვნა (საჭიროების შემთხვევაში).

ფაკულტეტის დარგობრივი კომისიის თავმჯდომარე

კომისიის მდივანი

კომისიის წევრები:

ფაკულტეტის დარგობრივი კომისიის თავმჯდომარის

ხელმოწერის სინამდვილეს ვადასტურებ

ფაკულტეტის დეკანი (ხელმოწერა)

სამეცნიერო შრომების კრებულში გამოსაქვეყნებელი სტატიის ავტორთა საყურადღებოდ

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სამეცნიერო შრომების კრებულში არ ისყოველკვარტალური რეფერირებადი პერიოდული გამოცემა, რომელიც რეგისტრირებული არამდენიმე საერთაშორისო მონაცემთა ბაზაში. სტატია (მიიღება ქართულ, ინგლისურ, რუსულ ენებზე) ქვეყნდება ორიგინალის ენაზე.

- **სტატიის ავტორთა რაოდენობა არ უნდა აღემატებოდეს სამს.**
- ავტორს შეუძლია საგამომცემლო სახლში პუბლიკაციისათვის მოგვაცნოდოს ან

ელექტრონული ფოსტით

შემდეგ მისამართზე sagamomcemlosakhli@yahoo.com

გამოგვიგზავნოს ერთი ან რამდენიმე სტატია და თანხმდები

დოკუმენტაციის დასკანირებული ფაილები,

მაგრამ კრებულის ერთ ნომერში გამოქვეყნდება მხოლოდ ორი.

• ელ. ფოსტის სტატიის გამოგზავნის შემთხვევაში,

გთხოვთ გაითვალისწინოთ შემდეგი მოთხოვნები:

- მიუთითეთ ველ Subject-ში (თემა) კრებულის დასახელება და ავტორის (ავტორების) გვარი.

- გამოიყენეთ Attach (ფაილის მიმაგრება).

- დიდი მოცულობის ფაილის შემთხვევაში გამოიყენეთ არქივატორი (ZIP, RAR).

• **სტატია შედგენილი უნდა იყოს წიგნიერად,**

მართლმეტყველებისა და ტერმინოლოგიის დაცვით. ავტორი (ავტორები)

დარეგნუნები პასუხს აგებენ სტატიის შინაარსსა და ხარისხზე.

• ვინაიდან საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის შრომების

კრებულის არასრავომერციული გამოცემა,

ჩვენ იმეცნიერთან ამ შრომებისა და დოქტორანტებისთვის

სტატიის გამოქვეყნება უფასოა.

• საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აკადემიურისა ბჭოს N 200

დადგენილებით (22.01.2010წ.) ფიზიკურმა პირმა,

რომელიც არ არის საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის თანამშრომელი,

შრომების კრებულში სტატიის გამოქვეყნებისთვის წინასწარ უნდა შეიტანოს ან

გადმორიცხოს საჭირო თანხა (1 გვერდი 10 ლარი)

და სტატიის თანხმდებელ დოკუმენტაციას

(ორი რეგნუნი და ორგანიზაციის სამეცნიერო საბჭოს მომართვას სტატიის სტუ-

ის შრომების კრებულში გამოქვეყნების შესახებ)

და ურთოს გადახდის ქვითარი. გრაფაში „გადახდის დანიშნულება“

უნდა ჩაიწეროს „სტატიის გამოქვეყნების ღირებულება“.

სტუ-ის საბანკო რეკვიზიტებია:

სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი; საიდენტიფიკაციო კოდი

211349192; მიმღების ბანკი: სახელმწიფო ხაზინა; მიმღების დასახელება:

ხაზინის ერთიანი ანგარიში; ბანკის კოდი: TRESGE22; მიმღების ანგარიში:

სახაზინო კოდი 708977259 .

გთავაზობთ სამეცნიერო სტატიის გაფორმების წესს:

- სტატიაწარმოდგენილი უნდა იყოს ნაბეჭდის სახით A4 ფორმატის ფურცელზე, არანაკლებ 5 გვერდისა (არეები - 2 სმ, ინტერვალი - 1,5).
- სტატიაშესრულებული უნდა იყოს doc ან docx ფაილის სახით (MS Word) და ჩაწერილი ნებისმიერ მაგნიტურმატარებელზე;
- ქართული ტექსტისთვის გამოიყენეთ შრიფტი Acadnusx, ზომა 12;
- ინგლისური დარუსული ტექსტებისათვის შრიფტი Times New Roman, ზომა 12;
- სტატია სუნდა ერთვოდეს შემდეგი ინფორმაცია:
- უაკ (უნივერსალური ათობითი კლასიფიკაცია) კოდი

ცნობები ავტორის (ავტორების) შესახებ ქართულ, ინგლისურ დარუსულ ენებზე:

- ყველა ავტორის სახელი და გვარის რულად, E-mail, სამეცნიერო წოდება და საკონტაქტო ტელეფონი;
- დეპარტამენტის და სახელეუბა. ორგანიზაციის რული სახელწოდება – ყოველი ავტორის მუშაობის ადგილი – ქვეყანა, ქალაქი.
- რეცენზენტთა გვარები და სახელეუბის რულად, ელექტრონული ფოსტის მისამართი, სამეცნიერო წოდება, დეპარტამენტის ან სამუშაო ადგილის და სახელეუბა.

• სტატია სუნდა ახლდეს:

- ანოტაცია ქართულ, ინგლისურ და რუსულ ენებზე (100-150

სიტყვა), *უცხოელი მკითხველისათვის ანოტაცია*

არის სტატიის შინაარსის ადამას შიგა დმოცემული კვლევის შედეგების შესახები ნფორმაციის ერთადერთი წყარო.

სწორედ იგი განსაზღვრავს ინტერესს მეცნიერის ნაშრომის მიმართ და,

მაშასადამე, სურვილს, დაიწყოს დისკუსია ავტორთან,

გამოითხოვოს სტატიის რული ტექსტი დაა.შ.

ანოტაცია უნდა იყოს:

- ინფორმაციული (არუნდა შეიცავდეს ზოგადსიტყვებსა და ფრაზებს);

- ორიგინალური

(თარგმანი ინგლისურ დარუსულ ენებზე უნდა იყოს ხარისხიანი,

თარგმნისას უნდა გამოვიყენოთ სპეციალური ტერმინოლოგია);

- შინაარსიანი

(უნდა ასახავდეს სტატიის ძირითად შინაარსსა და კვლევის შედეგებს);

- სტრუქტურირებული

(მიჰყვებოდეს სტატიაში შედეგების აღწერის ლოგიკას).

უნდა შეიცავდეს:

- სტატიის საგანს, თემას, მიზანს (რომლებიც მეთითებები იმ შემთხვევაში, თუ ეს არ არის ცხადის სტატიის სათაურიდან);
- კვლევის ჩატარების მეთოდს ან მეთოდოლოგიას (სამუშაოს ჩატარების მეთოდის ან მეთოდოლოგიის აღწერა მიზანშეწონილი იმ შემთხვევაში, თუ იგი გამოირჩევა სიახლით, საინტერესო ამოცემული ნაშრომის თვალსაზრისით);
- კვლევის შედეგებს;
- შედეგების გამოყენების არეალს;
- დასკვნას.
- საკვანძო სიტყვები და ლაგებულებები ალფაბეტის მიხედვით (ქართულ, ინგლისურ და რუსულ ენებზე);
- სტატიაში ქვესათაურებით გამოკვეთილი უნდა იყოს შესავალი, ძირითადი და დასკვნა;
- ნახაზების ან ფოტოების კომპიუტერული ვარიანტი შესრულებული უნდა იყოს ნებისმიერი გრაფიკული ფორმატით, გარჩევადობა - არანაკლებ 150 dpi-სა;
- საერთაშორისო სამეცნიერო ჟურნალების მონაცემთა ბაზების რეკომენდაციით, გამოყენებული ილიტერატურის რაოდენობას ასურველი იყოს არანაკლებ ბათისა.

წარმოგიდგენთ გამოსაქვეყნებელ სტატიაში გამოყენებული ილიტერატურის გაფორმების წესს:

ყველა ავტორის გვარი და ინიციალები მოცემული უნდა იყოს ლათინურ იანბანი სასოებით, ე.ი. ტრანსლიტერაციით, სტატიის სახელწოდება - თარგმნილი ინგლისურად, წყაროს (ჟურნალის, შრომების კრებულის, კონფერენციის მასალების) სახელწოდება - ტრანსლიტერაციით; გამოსასვლელი მონაცემები - ინგლისურ ენაზე, (სტატიის ენა მეთითებები ფრჩხილებში).

literatura (ნიმუში)

1. Jacques Sapir. Energy security as a common advantage. http://www.globalaffairs.ru/rumbler/n_7780 (In Russian).
2. "Official website of the International Energy Agency: <http://www.iea.org/topics/energysecurity/>" (In English).
3. International Energy Agency "Key World Energy Statistics" 2014 (In English).
4. Energy strategy of France McDoleg_butenko 20 May, 2009 (In Russian)
5. G.G. Svanidze, V.P. Gagua, E.V. Sukhishvili "Renewable energy resources of Georgia", Leningrad, Hydrometizdat, 1987, pp. 75-76 (In Russian).
6. Revaz Arveladze, Tengiz Kereselidze "The Georgian Full Independence of Electric Power Is Supported By Hydropower". Sakartvelos Teqnikuri Universitetis Archil Eliashvilis Saxelobis Martvis sistemebis Institutis Proceedings.N18 2014. Tbilisi (In Georgian).

გთავაზობთ სტატიის წარმოდგენისთვის საჭირო დოკუმენტაციის ჩამონათვა
 ლსსაქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის თანამშრომლების ადადოქტორ
 ანტებისთვის:

- ორი რეცენზია (იხ. ნიმუში) http://publishhouse.gtu.ge/site_files/recenziis_nimushi.docx
- ფაკულტეტის საგამომცემლოსაქმის დარგობრივი კომისიის ოქმის ამონაწერი (იხ. ნიმუში).
- დოკუმენტები დამოწმებული უნდა იყოს ფაკულტეტის ბეჭდით.